ჩვენი შუამავალი ჩვენი მაგალითია-2

# მერიემი და თამაში აჩუ ცხენი

ჰილალ ლეიქეზ ყილიჩ

მხატვარი:

გულშაჰ ირმაქ



თურქეთის რესპუბლიკის სამმართველო
დიანეთის საქმეთა სამმართველო

# მერიემი და თამაში აჩუ ცხენო

ჰილალ ლექსიზ კილიჩ


გამოცემის ხელმძღვანელი : ჯაფერ თაირ დოიმაზ
გამოცემის კოორდინატორი : იუნუს იუქსელ
რედაქტორი : ზეინეფ ულვიე ოზქან
შესწორება : ზეინეფ სელინ თერზი
გარეკანისა და შიდა დიზაინი : შეიმა ჩაქირ
გამოცემის მომზადება : ალი ჩინქი

მე-2 გამოცემა, ანკარა, სექტემბერი 2023

ისბნ 978-625-435-588-2
2023-06-Y-0003-2458

სერტიფიკატის ნომერი : 12930

ქართულად თარგმნა : ნინო კახაძე
ქართული გრაფიკა : ბილალ ილქაი


muslim georgia

# მეჩეთში და თამაში აჩუ ცხენო

ჰილალ ლექესიზ ყილიჩ

მხატვარი: გულშაჰ ირმაქ

ამ წიგნის მფლობელი :)

muslim georgia
muslim GEORGIA international charity fund



muslim.georgia

მოსაღამოვდა.

## მერიემი ძალიან მოწყენილი იყო.

დღეს სახლის საქმეებმა დედას დიდი დრო წაართვა და მერიემთან სათამაშოდ დრო არ დარჩა.

ცოტა ხანში მამაც მოვიდოდა. ის როგორმე უნდა დაერწმუნე



ბევრი
იფიქრა და
ძალიან კარგი
იდეა მოაფიქრდა.

ჯარის ზარმა როგორც კი დარეკა, მერიემი მაშინვე გაიქცა.

„მამიკო მოვიდა! მამიკო მოვიდა!“

ეს თქვა თუ არა, დიდი მღელვარებით გააღო კარი. მამას ჩაეხუტა.

ამ დროს სამზარეულოდან მადის აღმძვრელი სუნელი მოდიოდა. მიდი გეგმა ვახშმის შემდეგისათვის უნდა შემოენახა. მერიემი სუფრის გაშლაში დაეხმარა.





# მერიემი ვერ ისვენებდა.

-მამა, ვახშმის შემდეგ რაიმე საქმე გაქვს? - ჰკითხა. მამამ მიუგო, რომ საქმე არ ჰქონდა. მერიემს შეეძლო თავისი გეგმის განხორციელება დაეწყო, მაგრამ ჯერ თეფშზე არსებული საჭმელი უნდა დაესრულებინა.


muslim georgia

ამ გემრიელი საჭმლისათვის პირველ რიგში ალლაჰს მადლობა გადაუხადა.

შემდეგ კი დედას უთხრა მადლობა.



მერიემის მამამაც თქვა:

-ოქროს ხელები გაქვს ჩემო ქალბატონო. ძალიან გემრიელი საჭმელი იყო.

-გემრიელად მიირთვი, შეგერგოს :)

ღიმილით მიუგო მერიემის დედამ. ყველამ ერთად მისაღებ ოთახში გადაინაცვლა.




შეგერგოთ...

მერიემმა ძალიან საყვარლად ჰკითხა:

-მამიკო, ჩვენი შუამავალი თუ გვიყვარს, მის მსგავსად უნდა მოვიქცეთ, ხომ ასეა?

-დიახ ჩემო გოგონა, რა თქმა უნდა...

-მე გავიგე, რომ ჩვენი შუამავალი თავის შვილიშვილებთან, ჰასანთან და ჰუსეინთან, ერთად აჩუ ცხენოს თამაშობდა. შენ ამ თამაშს საერთოდ არ მეთამაშები.





-ჩემს მშვენიერ შვილს
სურს და როგორ
შემიძლია არ ვეთამაშო?
აბა აქ მოდი.

მერიემმა თავის მიზანს მიაღწია. მამას მაშინვე ზურგზე შემოუსკუპდა.

მამაც მისალებ ოთახში ხან აქეთ დადიოდა, ხან იქეთ.

## მერიემის სიცილ-კისკისი მთელ ოთახს ავსებდა.

ზოგჯერ მამა ხელებს მაღლა სწევდა და რომ არ დაცემულიყო, მერიემი მამას კისერზე მჭიდროდ ეკვრებოდა.





დედა მათ დიდი სიამოვნებით უყურებდა.

muslimgeorgia

გარკვეული ხანი ითამაშეს, გაერთნენ და შემდეგ მამამ ჰკითხა:
-შვილო მე დავიღალე. არ კმარა ამდენი თამაში?
მერიემს საერთო არ სურდა თამაშის დასრულება.
თუმცა მამაც აშკარად დაიღალა.

მერიემმა ჰკითხა:

-მამიკო, ხვალაც ვითამაშებთ?

-რა თქმა უნდა,

უთხრა მამამ და თავზე ხელი გადაუსვა.



მერიემის ფიქრებში ჩვენი შუამავალი
და მისი შვილიშვილები იყვნენ.

თავს **განსაკუთრებულად გრძნობდა,**
რადგანაც ბავშვების მოყვარული შუამავალი ჰყავდა.



მოგვიანებით მამას გაესაუბრა.

-მამა იცი გუშინ რა მოხდა? დამავიწყდა შენთვის მომეყოლა.

-ხომ მშვიდობაა შვილო, რა მოხდა?

მერიემმა მთელი ემოციებით დაიწყო მოყოლა.

-გუშინ ბაბუასთან ერთად მეჩეთში წავედი. ბაბუამ ლოცვა შეასრულა, მე კი კრიალოსნებით ვითამაშე. ბაბუამ ლოცვა რომ დაასრულა, ვიღაც ბიძას გაუბა საუბარი. მე ფანჯარასთან მივედი. და რას ვხედავ!



-აბა რა დაინახა ჩემმა ლამაზმა გოგონამ?



-პატარა ცინტლები. ზუსტად სამი ცალი. ერთ-ერთი თეთრი იყო. მხოლოდ ფეხები ჰქონდა შავი. დანარჩენი ორი ყვითელი ფერის იყო.

მამა უნდა გენახა, ისეთი საყვარლები იყვნენ...

ბაბუასთვის მინდოდა მეჩვენებინა.

-და რა მოხდა?



-ბაბუასა და იმ ბიძიას საუბარი ისე გაიწელა, რომ ლოდინით დავიღალე. „წავედით ბაბუა...“ ვუთხარი ბაბუას და ხელი ჩავკიდე. იმ ბიძიამ კი გაბრაზებული სახით შემომხედა და მითხრა: „მე და შენი ბაბუა რაღაცას ვსაუბრობთ, მშვიდად იდექი.“



მე ხომ
სული არაფერი
გამიკეთებია.:(



ბაბუამ მითხრა:

-შენ აი იქ დამელოდე ჩემო გოგონა, მე ახლავე მოვალ.

მეც ფანჯარასთან მივედი და ჩამოვჯექი. შემდეგ დეიდა ზეინეფის ნათქვამი გამახსენდა. ის ბიძია რახან მეჩეთში იყო, ვიფიქრე ჩვენი შუამავალიც უყვარდა. მასთან მივედი და ვკითხე:



-ჩვენი შუამავალი ბავშვებს არ უბრაზდებოდა. თქვენ მე გამიბრაზდით. ჩვენი შუამავალი არ გიყვართ?

მამას თვალები გაუფართოვდა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

-და იმ ბიძიამ რა გიპასუხა?

-ჯერ ძალიან გაუკვირდა. შემდეგ ბოდიში მომიხადა. ბაბუას დაემშვიდობა და წავიდა. მე და ბაბუა კატების მოსანახულებლად წავედით. ბაბუამ ისევ უნდა წამოყვანოს იქ. ამჯერად მათ საკვებსაც მივუტანთ.

-ყოჩაღ ჩემო გოგონა, -უთხრა მამამ და მერიემს ჩაეხუტა.

კარგია ჩვენი შუამავლისაგან მაგალითის აღებაო, გაიფიქრა მერიემმა.

